სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №14

16.07.2012 წელი

ერთის მხრივ, ქალაქ რუსთავის №18 **საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია გაჩეჩილაძეს სახით** და მეორეს მხრივ შპს „მადლი" (შემდგომში - მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორი თორნიკე თვარაძის სახით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით, გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ტერმინთა განმარტებები

1.1. ხელშეკრულება - წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითურთ.

1.2. შემსყიდველი – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.3. მიმწოდებელი – პირი, რომელიც ასრულებს შენობის მოწყობის სამუშაოებს ხელშეკრულების ფარგლებში.

1.4. ხელშეკრულების ღირებულება - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულებისათვის.

1.5. დღე, კვირა, თვე - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.6. ფორსმაჟორი - მოცემულ შემთხვევაში აუცდენელი დაუძლეველი ძალა, რომელიც დგება მხარეთა ნებისგან დამოუკიდებლად და ატარებს წინასწარ გაუთვალისწინებელ ხასიათს, კერძოდ, მიწისძვრა, წყალდიდობა, ხანძარი, ომი, რევოლუცია, აჯანყება, იმპორტისა და ექსპორტის აკრძალვა, აგრეთვე სხვა გარემოება, რომელიც შეუძლებელს ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას ან იწვევს არათანაზომიერად დიდ ხარჯებს მათ შესასრულებლად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია შენობის მოწყობის სამუშაოების (CPV – 45400000), სატენდერო განცხადების ნომერი SPA120017766) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

2.2. ხელშეკრულების საგნის აღწერა მოცემულია ,,დეფექტურ აქტში", რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 3. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 18998.70 ლარს.

3.2. ხელშეკრულების საგნის საერ თო ღირ ებულება მოი ცავს მიმწოდე ბლის მიერ სამუშა ოების შესრულებასთან დაკავშირებულ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

მუხლი 4. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

4.1. შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტისა ან/და ანგარიშფაქტურის ხელმოწერაზე უფლებამოსილია წინამდებარე ხელშეკრულების 7.1. პუნქტში მითითებული პირი.

4.2. შესყიდვის ობიექტზე ან მის ნაწილზე მიღება-ჩაბარება გაფორმდება მიმწოდებლის მიერ ფორმა №2 წარმოდგენისა და მასზე საექსპერტო დასკვნის შედგენის შემდეგ.

4.3. საექსპერტო მომსახურების ხარჯების ანაზრაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი საკუთარი სახსრებით.

4.4. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი მოითხოვს საექსპერტო მომსახურების ჩატარებას კანონმდებლობით დადგენილი დაჩქარებული წესით, მიმწოდებელი ვალდებულია გადაიხადოს სხვაობა დაჩქარებული და ჩვეულებრივი მომსახურებების საფასურებს შორის.

4.5. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება მოხდება ეტაპობრივად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ფაქტიურად შესრულებული სამუშაოს ღირებუების შესაბამისად.

4.6. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე, საექსპერტო დასკვნის საფუძველზე მიღება-ჩაბარების აქტის აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

4.7. წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) თანხა შეადგენს სახელშეკრულებო თანხის არაუმეტეს 30%. აღნიშნული თანხაზე გაცემული საბანკო/სადაზღვევო გარანტიის მოქმედების ვადაა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს სამუშაოების შესრულებისათვის განსაზღვრულ ვადას.

4.8. წინასწარი ანგარიშსწორების (ავანსი) თანხა ჩაითვლება ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულების ანგარიშში.

მუხლი 5. სამუშაოს შესრულების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი შესყიდვის ობიექტის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 30 დღის ვადაში, შემსყიდველის მისამართზე (ქ. რუსთავი მელიქიშვილის ქ. №7).

მუხლი 6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები.

6.2.მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

ბ) მინიმუმადე დაიყვანოს სამუშაოების შედეგად გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის და მტვერის გავლენა;

გ) სამუშაოების შედეგად დარჩენილი დაზიანებული ადგილები დაამუშაოს შესაბამისად და მოიყვანოს პირვანდელ მდგომარეობაში (ამოლესვა, შეღებვა);

დ) სამუშაოების პარალელურად, საკუთარი ძალებით და სახსრებით პერიოდულად გაათავისუფლოს სამუშაო ადგილი სამშენებლო ნაგვისაგან და ნარჩენი მასალებისაგან, პერიოდების ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 (ხუთი) კალენდარულ დღეს;

ე) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო შესყიდვის ობიექტი.

მუხლი 7. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სკოლის დირექტორი.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე შესრულებული სამუშაოს ხარისხის შემოწმებას.
7.3. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ინსპექტირების ჩატარება საკუთარი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. შემსყიდველის ინიციატივით, ინსპექტირების მიზნით გამოყენებული საკუთარი ან მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.
7.4. ნებისმიერი ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. გარანტია
8.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესრულებული სამუშაო იქნება ხარისხიანი და დადგენილი სტანდარტების შესაბამისი.
8.2. საგარანტიო ვადა შეადგენს 5 (ხუთი) წელს, რომლის განმავლობაში მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, რაც დაკავშირებულია შესრულებული სამუშაოს ხარისხთან.
8.3. საგარანტიო ვადაში წარმოქმნილი ხარვეზი უნდა აღმოიფხვრას შემსყიდველის შეტყობინებიდან გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) დღისა.
8.4. მიმწოდებლის მიერ 8.3. პუნქტში მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები ნაკლის აღმოსაფხვრელად და მოსთხოვოს მიმწოდებელს შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება.

მუხლი 9. ფორსმაჟორი
9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
9.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა, აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
9.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 10. სუბკონტრაქტორები
10.1. ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბკონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბკონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბკონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტენ შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინამდებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
10.2. ამ ხელშეკრულების ფარგლებში ყველა სუბკონტრაქტორთან დადებული ხელშეკრულების ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
10.3. ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

მუხლი 11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია

11.1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად გამოიყენება საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით. მისი მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების საბოლოო ვადას.
11.2. საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზარალის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების გამო.
11.3. საბანკო გარანტია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაუბრუნდება მიმწოდებელს მხარეთა შორის ხელშეკრულების საგნის შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 დღის ვადაში.
11.4. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას საბანკო გარანტია.

მუხლი 12. პირგასამტეხლო
12.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 1%-ის ოდენობით.
12.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირ ებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი უ ფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

მუხლი 13. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა
13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
13.2. ხ ელშეკრულების პირობ ების ნებისმიერი ცვლილ ება უ ნდა გაფ ორმდეს ხელ შეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
13.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) თუ მიმწოდებლის მიმართ დაიწყება გაკოტრების საქმის წარმოება;
დ) თუ ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებლი დოკუმენტები ყალბია;
ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 14. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი
14.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

მუხლი 15. შეტყობინება

15.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
15.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 16. გადასახადები და დაბეგვრა
მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლებისა და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 17. ხელშეკრულების ენა
ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ორი - შემსყიდველთან.

მუხლი 18. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 18. სხვა პირობები
18.1 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
18.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, თანხებით და რისკით.
18.3 მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მიმწოდებლი:	შემსყიდველი ორგანიზაცია:
შპს „მადლი“	ქალაქ რუსთავის №18 საჯარო სკოლა
მისამართი: ქ. ცაგერი თამარ მეფის №2	მისამართი: ქ. რუსთავი მელიქიშვილის ქ. №7
ტელეფონი: 595960177	ტელეფონი: 0341270512
საიდენტიფიკაციო კოდი:242571249	საიდენტიფიკაციო კოდი:216317368
საბანკო რეკვიზიტები:ს.ს“ლიბერთი ბანკის“	საბანკო რეკვიზიტები: ს.ს „ლიბერთი ბანკი“
მთაწმინდა კრწანისის ფილიალი	საბანკო კოდი:**LBRTGE22**
საბანკო კოდი: **LBRTGE22**	ანგარიშსწორების
ანგარიშსწორების ანგარიში: GE72LBO113197598738001	ანგარიში: GE56LB0121192440672000
ხელმძღვანელი	ხელმძღვანელი
აღმასრულებელი დირექტორი /თ. თვარაძე/	დირექტორი /მ. გაჩეჩილაძე/